












# თავდაცვის მინისტრი მაზარ-ი-შარიფში

2015-01-04 10:55:14

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ავღანეთში, მაზარ-ი-შარიფში საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის გაძლიერებული ასეული მოინახულა. გერმანულ ბაზა „მარმალზე“ დისლოცირებულმა ასეულის მეთაურმა, მაიორმა ვახტანგ ბეგოიძემ თავდაცვის მინისტრს ქვედანაყოფის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, მინდია ჯანელიძე ქართული ქვედანაყოფის პირად შემადგენლობას გაესაუბრა და მათ საცხოვრებელ  პირობებს პირადად გაეცნო. მინისტრმა სამხედროებს ახალი წელიც მიულოცა და სამშობლოში მშვიდობიანი დაბრუნება უსურვა.

ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, თავდაცვის მინისტრმა ბაზა „მარმალზე“ გერმანული სარდლობის წარმომადგენლობასთან გამართა შეხვედრა. IV მექანიზირებული ბრიგადის გაძლიერებული ასეული მისიას უკვე

გადმოწერე რელიზი



© 2013 წელი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო